



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამინის მეგობრები-საქართველო

წ ე ს დ ე ბ ა

2018 წელი

პრემბულა

კონსოლიდირებული ტექსტი

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო არის თვითმართველობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ როგორც ორგანიზაცია დაფუძნდა, 1989 წლის 10 დეკემბრის დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ და იქნა რეგისტრირებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1990 წლის 19 თებერვლის N66 დადგენილებით.

1993 წლიდან „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრების“ სრულუფლებიანი წევრი და ხელშეკრულების საფუძველზე იწოდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველო“

1995 მოხდა ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად 1998 წ. წესდებაში შედის ცვლილებები, სადაც ფიქსირდება ორგანიზაციის დამფუძნებელთა ჯგუფი.

მუხლი1 ზოგადი დებულებანი

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები -საქართველო“ (შემდგომში ორგანიზაცია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

მუხლი 2 ორგანიზაციის სრული დასახელება:

- 2.1. ქართულად: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
- 2.2. ინგლისურად: The Green Movement of Georgia–Friends of the Earth-Georgia
- 2.3. ორგანიზაციის აბრევიატურა არის - **სმმ/დმს** ქართულად და ინგლისურად **GMG/FOE-Georgia**

მუხლი 3 ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუხლი 4 ორგანიზაციის მოქმედების არეალი და ადგილსამყოფელი

ორგანიზაცია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

იურიდიული მისამართია _რეგისტრაციის მისამართი- ქ. თბილისი,

დ. აღმაშენებლის 182 /ფაქტიური მისამართი - ქ.თბილისი სლავა მეტრეველის № 4 ბინა № 6

ორგანიზაციის ელექტრონული მისამართი: info@greens.ge

მუხლი 5 ორგანიზაციის სიმბოლოები

ორგანიზაციას აქვს თავისი დროშა, ემბლემა და ჰიმნი

მუხლი 6. დამფუძნებლები:

№	სახელი და გვარი	დაბ. თარიღი და ადგილი	საცხოვრებელი ადგილი	პირადი №
1	ზურაბ ჟვანია	10.12.1963, თბილისი	გარდაცვლილი	
2	თუმანიშვილი გრიგოლი	10.09.1925, ქ.თბილისი	გარდაცვლილი	
3	ნანა ნემსაძე	08.01.1937, ქ.თბილისი	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამ. № 62	01008005933

4	ნინო ჩხოზაძე	28.01.1961, ქ.ქუთაისი	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №54	01024012866
5	გივი გიგინეიშვილი	15.07.1935, ქ.ბორჯომი	გარდაცვლილი	
6	რუსუდან სიმონიძე	15.07.1955, ქ.ხონი	ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზ. № 55ა	01007003292
7	მალხაზ ბინაძე	07.01.1963, ქ.თბილისი	ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ.№25. ბ33	01006003422
8	გიორგი გაჩეჩილაძე	24.06.1954, ქ.თბილისი	ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ № 96	01008019538
9	ელგუჯა გვაზავა	22.02.1952, ქ.სოხუმი	სოხუმი, ორჯონიკის 70	62001023242
10	ეთერ მაისაშვილი	07.07.1962, ქ.ამროლაური	ქ.თბილისი ნუცუბიძის III კლ. I კვ, კორ №16	01008020214
11	თენგიზ ჯაფარიძე	03.01.1938, ქ.თბილისი	გარდაცვლილი	
12	ზურაბ თავართქილაძე	13.03.1954, ქ.თბილისი	გარდაცვლილი	
13	გიორგი მელაძე	24.07.1960, ქ.თბილისი	თბილისი, ვაშლიჯვარი 13-ე ბ.22	01025007808
14	მამუკა სალუქვაძე	04.04.1965, ქ.თბილისი	ქ.თბილისი, ყაზბეგის 24, ბ7	01009002788
15	ნატო კირვალიძე	30.11.1963, ქ.თბილისი	ქ.თბილისი, საბურთალო 7ა	01024005937

მუხლი 7 მიზნები

- 7.1. საზოგადოებაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
- 7.2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და გარემოს დეგრადაციის შეჩერება;
- 7.3. ადამიანის და საზოგადოების უფლებების დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- 7.4. კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება;
- 7.5. დედამიწაზე მიმდინარე ნეგატიური გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ კაცობრიობის ძალისხმევაში აქტიური თანამონაწილეობა;

მუხლი 8. საქმიანობის ფორმები

- 8.1. პროექტების და პროგრამების განხორციელება ორგანიზაციების მიზნების და ამოცანების მისაღწევად
- 8.2. კონსულტაციები და საკონსულტაციო მომსახურება
- 8.3. კამპანიების წარმოება და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული საკითხების ლობირება
- 8.4. გარემოსდაცვითი სერვისების განხორციელება (შეფასებების, კვლევების და სხვა)
- 8.5. რეგიონალური საზოგადოებრივი ქსელის შექმნა
- 8.6. საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მიღება
- 8.7. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა საქმიანობები, რაც არ არის საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული

მუხლი 9. წევრობა

- 9.1. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან და იურიდიული პირები, რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის მიზნებს და მათი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის ამოცანებს;
- 9.2. ორგანიზაციის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს ორგანიზაციის აღმასრულებელ საბჭოს (გამგეობას) და

წევრად მიღების საკითხი განიხილება აღმასრულებელ საბჭოს(გამგეობის) პირველივე სხდომაზე.

9.3. იურიდიული პირის მიღების წესი განისაზღვრება რეგლამენტით`

9.4. ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუნაროდ ცნობისას;
- ც) გარდაცვალებისას;
- დ) იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ლიკვიდაციისას.

9.5. საერთო კრების გადაწყვეტილებით ორგანიზაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს ან იგი უხემად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 10. წევრთა უფლება-მოვალეობანი

- 10.1.
- ა) ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:
 - ბ) მონაწილეობდეს ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში, იურიდიული პირის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით;
 - ც) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელ (მმართველობის) ორგანოებში, გარდა წევრი იურიდიული პირისა;
 - დ) მონაწილეობდეს ორგანიზაციის პროგრამებში და კამპანიებში;
 - ე) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) სხდომებში;
 - ფ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;
 - გ) ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად საჭირო ქმედებებისთვის ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
 - ჰ) ატაროს ორგანიზაციის ემბლემა და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ორგანიზაციის სხვა სიმბოლიკით, სიმბოლიკით სარგებლობის ფორმები განისაზღვრება ორგანიზაციის შიდა განაწესით;
 - ი) ორგანიზაციის წევრს აქვს უფლება დასვას საკითხი რომელიც ეხება ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელ ორგანოებში განსახილველად;
 - კ) წევრი გარიცხვის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად;

10.2. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
- ც) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში;
- დ) ორგანიზაციულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ორგანიზაციის მიზნებითა და ორგანიზაციის ეთიკის კოდექსით;
- ე) გადაიხადოს დადგენილი საწევრო შენატანი;

მუხლი 11. ორგანიზაციის საერთო კრება

11.1. ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ორგანიზაციის საერთო კრება;

- 11.2. საერთო კრება, მოიწვევა სამ წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი, ყველა დელეგატს აქვს თითო ხმა;
- 11.3. საერთო კრება გადანყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო გადანყვეტილებას წესდების შეცვლის თაობაზე - დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით;
- 11.4. საერთო კრება:
- ა) იღებს ორგანიზაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში დამსწრეთა ორი მესამედით;
 - ბ) ხელისმომწერის უფლებამოსილებას ანიჭებს თავმჯდომარეს როგორც საჯარო რეესტრში გასაატარებელ დოკუმენტებზე ცვლილებებისა და დამატებების განსახორციელებლად, ასევე წესდების ახალ რედაქციაზე და სხვა დოკუმენტებზე;
 - ც) ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით სამი წლის ვადით ირჩევს ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) 6 წევრს და თავმჯდომარეს, საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზი) 17 წევრის შემადგენლობით;
 - დ) ისმენს და ამტკიცებს „ შეფასებით ანგარიშს ორგანიზაციის მიერ განეული მუშაობის შესახებ;
 - ე) ისმენს და ამტკიცებს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშს;
 - ფ) იღებს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
 - გ) ამტკიცებს ორგანიზაციის სიმბოლიკას;
 - ჰ) იღებს გადანყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება გაიმართოს ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზი) წევრთა უმრავლესობით ან ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მეათედის მოთხოვნით.

მუხლი 12. საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი)

- 12.1. საერთო კრების შუა პერიოდში ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი)
- 12.2. საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი) შედგება 17 წევრისაგან (სადაც შეძლებისდაგვარად დაცულია გენდერული ბალანსი და რეგიონალური წარმომადგენლობა მინიმუმ 3/5) და ირჩევა საერთო კრების მიერ;
- 12.3. საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზი) უფლებამოსილება განისაზღვრება სამი წლით;
- 12.4. საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზის) უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
- 12.5. საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი) გადანყვეტილებებს იღებს დამსწრეთა კონსენსუსით მინუს ერთი;
- 12.6. საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზს) ხელმძღვანელობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი) თავისი წევრებიდან. სპიკერი, რომელსაც ამტკიცებს საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი) პირველივე სხდომაზე, ირჩევა სამი წლის ვადით.
- 12.7. საკოორდინაციო საბჭო (დარბაზი):
- ა) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) ანგარიშებს მიმდინარე საქმიანობის შესახებ და იღებს გადანყვეტილებას;
 - ბ) საერთო კრებას წარუდგენს დარბაზის მუშაობის ანგარიშს და ორგანიზაციის შეფასებით ანგარიშს;
 - ც) ამტკიცებს ორგანიზაციის რეგლამენტებს, წესებს, სახელმძღვანელო დოკუმენტებს;
 - დ) იღებს გადანყვეტილებას ორგანიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით;

- ვ) იხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის მოქმედებათა გეგმას;
 - ფ) საერთო კრებას წარუდგენს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
 - გ) ხმათა უმრავლესობით იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას;
 - ჰ) განსაზღვრავს და ამტკიცებს საწევროს ოდენობას;
- 12.8. საკორდინაციო საბჭოს (დარბაზი) წევრთა $\frac{1}{4}$ მოთხოვნის შემთხვევაში დარბაზი ვალდებულია განიხილოს დასმული საკითხი;
- 12.9. საკორდინაციო საბჭოს (დარბაზი) სხდომა იმართება 3 თვეში ერთხელ მაინც, ან დარბაზის წევრთა $\frac{1}{4}$ მოთხოვნის საფუძველზე, ან საკორდინაციო საბჭოს (დარბაზის) სპიკერის, ან აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობა) მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- 12.10. საკორდინაციო საბჭოს (დარბაზი) უფლება აქვს კოოპტაციის წესით შეცვალოს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) შემადგენლობა $\frac{1}{3}$ და დააკომპლექტოს საკუთარი წევრებიდან. კოოპტაციის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს საკორდინაციო საბჭო (დარბაზი);

მუხლი 13. აღმასრულებელი საბჭო (გამგეობა)

- 13.1. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა 7 (ექვსი წევრი და თავჯდომარე) წევრისაგან შემდგარი ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭო (გამგეობა);
- 13.2. აღმასრულებელ საბჭოს (გამგეობის) სხდომები იმართება თვეში ორჯერ მაინც;
- 13.3. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ორგანიზაციის თავჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან აღმასრულებელ საბჭოს (გამგეობის) წევრთა $\frac{1}{2}$ მოთხოვნით;
- 13.4. აღმასრულებელი საბჭო (გამგეობა) უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი;
- 13.5. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით;
- 13.6. აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) სხდომები არის ღია და ორგანიზაციის წევრებს აქვს უფლება დაესწრონ სათათბირო ხმის უფლებით;
- 13.7. აღმასრულებელი საბჭო (გამგეობა):
- ა) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საერთო კრების ჩატარებას;
 - ბ) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკორდინაციო საბჭოს (დარბაზი) ჩატარებას;
 - გ) ამზადებს ორგანიზაციის სტრატეგიულ გეგმას, სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამწლიან მოქმედებათა გეგმას და წარუდგენს საკორდინაციო საბჭოს (დარბაზს);
 - დ) ამზადებს სამწლიან მოქმედებათა გეგმიდან გამომდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმას და წარუდგენს საკორდინაციო საბჭოს (დარბაზს) დასამტკიცებლად;
 - ე) ამტკიცებს განსახორციელებელ პროგრამებს /პროექტებს, მათ ხელმძღვანელებს და ანიჭებს მათ შესაბამის უფლებამოსილებს;
 - ფ) გეგმავს, ამტკიცებს და წარმართავს ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი კამპანიების თემატიკას და პროგრამებს;
 - გ) იხილავს ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული საწარმოების დებულებებს;
 - ჰ) ხელმძღვანელობს და წარმართავს ორგანიზაციის მუშაობას რეგიონებში;
 - ი) აფუძნებს ორგანიზაციის ფილიალებს, რეგიონალური ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს და კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას;
 - კ) ამზადებს და წარუდგენს საკორდინაციო საბჭოს (დარბაზს) დასამტკიცებლად რეგლამენტებს, წესებს, სახელმძღვანელო დოკუმენტებს;
 - კ) იხილავს განცხადებებს ორგანიზაციის წევრების შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს წევრობაზე;

- ლ) იხილავს და არგუმენტირებულ დასკვნას წარუდგენს საერთო კრებას ორგანიზაციის წევრის გარიცხვასთან დაკავშირებით;
 - მ) იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის საერთაშორისო კამპანიებში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
 - ნ) განსაზღვრავს მესამე პირებთან ურთიერთობის ფორმებს;
 - ო) ამტკიცებს ორგანიზაციის საშტატო განრიგს;
 - პ) იხილავს პროგრამების და პროექტების მიმდინარეობას;
 - ჟ) ამზადებს ორგანიზაციის წლიურ ანგარიშებს და განსახილველად წარუდგენს დარბაზს;
 - რ) განსაზღვრავს და განკარგავს ორგანიზაციის ფინანსებს, ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსურ უზრუნველყოფას და მართვას;
 - ს) ახორციელებს ორგანიზაციის სამართლებრივ უზრუნველყოფას, მართვას და ახორციელებს საზოგადოებრივ საკანონმდებლო მონიტორინგს;
 - ტ) წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, და უზრუნველყოფს ორგანიზაციის იმიჯს;
 - უ) ამტკიცებს პროექტების და ორგანიზაციის აუდიტის ანგარიშს და წარუდგენს საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზს);
 - ვ) წარმართავს და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობებს;
 - ზ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის სამუშაო კომისიებს და ჯგუფებს;
 - ბ) იღებს სხვა გადაწყვეტილებებს მოძრაობის სანქსდებო მიზნების შესაბამისად;
 - ყ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის გამართულ მუშაობას;
- 13.8. გამგეობის წევრს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, ან/და ენეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუშლის მის საქმიანობას;
- 13.9. აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება:
- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) საბჭოს მუშაობაში ზედიზედ 3 თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;
 - გ) ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტით;
- 13.10. აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობა) გამგეობის წევრები არიან:

	სახელი გვარი	დაბადების თარიღი და ადგილი	საცხოვრებელი ადგილი	პირადი №
1	ნინო ჩხობაძე თავმჯდომარე	28.01.1961, ქ. ქუთაისი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №54	01024012866
2	რუსუდან სიმონიძე	15.03.1955, ქ. ხონი	ქ. თბილისი, ა.წერეთლის გამზ. №55ა	01007003292
3	ნიკოლოზ ინაშვილი	25.05.1978, ქ. თბილისი	ქ. თბილისი დოლიძის ქ. კორპ. 26 ბ-134	01026001189
4	რომან მაისურაძე	06.08.1978, ონი	ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი კორპ 19 ბ 17	35001004193
5	გიორგი დარსაველიძე	13.01.1991, ქ. ქუთაისი	ქ. თბილისი, გოგებაშვილის მესამე შესახვევი №20	01017040482
6	აკაკი ფანჩულიძე	18.06.1962, ქ. ქუთაისი	ქ. თბილისი, იპოლიტე ხვიჩიას ქ14, ბ14	01007004504
7	მარინე უორდანიას	12.01.1960, ქ. გეგეჭკორი	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამ. №30. ბ 40	01002001855

მუხლი 14 თავმჯდომარე

- 14.1. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ერთი თავმჯდომარე;
- 14.2. თავმჯდომარეს ირჩევს საერთო კრება 3 წლის ვადით, თავმჯდომარეს არჩევა შესაძლებელია ბედიზედ მხოლოდ ორი ვადით;
- 14.3. თავმჯდომარე:
- ა) მართავს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობა) სხდომებს და კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი საბჭოს მუშაობას, ასევე ხელს აწერს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობა) სხდომის ოქმებს;
 - ბ) ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური სახსრების და სხვა მატერიალური ქონების მართვას და ანგარიშვალდებულება საკოორდინაციო საბჭოს (დარბაზი) წინაშე;
 - ც) მონაწილეობს ორგანიზაციის მართვაში ყველა მიმართულებით;
 - დ) ახორციელებს ორგანიზაციის ოპერატიულ მართვას;
 - ე) წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - ფ) საერთო კრების მიერ ენიჭება ხელის მონერის უფლებამოსილება, როგორც საჯარო რეესტრში გასატარებელ დოკუმენტებზე ცვლილებებისა და დამატებების განსახორციელებლად, ასევე წესდების ახალ რედაქციაზე და სხვა დოკუმენტებზე;
- 14.4. ორგანიზაციის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყვეს საჯარო სამსახურში და რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციის წევრი, ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუშლის მას უფლებამოსილების განხორციელებაში;
- 14.5. ორგანიზაციის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) ერთერთი წევრი. აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) გადანაცვლებით;

მუხლი 15. ორგანიზაციის ქონება

- 15.1. ორგანიზაციის ქონება იქმნება, ფიზიკურ პირთა სანევროს, შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან;
- 15.2. ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი სანესდებო მიზნების განხორციელებას;

მუხლი 16. ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა

- 16.1. ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:
- ა) ორგანიზაციის საერთო კრების გადანაცვლებით;
 - ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;
 - ც) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 16.2. ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხორციელდება აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობა) საერთო კრების გადანაცვლებით;
- 16.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს ორგანიზაციის გამგეობის გადანაცვლებით საფუძველზე.